

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

ფუტკრის ეროვნული
ღაბლის ვირუსი

ფუტკრის ქრონიკული დამბლის ვირუსი (CBPV) მოზრდილი მეთაფლია ფუტკრის დაავადებაა, რომელიც იოლად შეიძლება გავრცელდეს ოჯახის სხვა ფუტკრებზეც. ფუტკრები დაავადების სიმპტომებს CBPV-თი ინფიცირებიდან 5 დღის შემდეგ ავლენენ და რამდენიმე დღეში კვდებიან. ფუტკრის ქრონიკული დამბლის ვირუსმა შეიძლება ფუტკრის ოჯახების მოულოდნელი დაღუპვა გამოიწვიოს.

ქრონიკული დამბლის ვირუსით დაავადებული ფუტკარი



ვირუსით, ძირითადად, მოზრდილი ფუტკარი ავადდება, მაგრამ ასევე შეუძლია ადრეული ასაკის ბარტყიც დაინფიციროს, თუმცა ვირუსს მათზე მსუბუქი ზემოქმედება აქვს. ვირუსისგან ბარტყის დაავადების შემთხვევები მცირეა ან სულ არ გვხვდება. ინფიცირებულ ფუტკარში შეიძლება აღმოჩნდეს მილიონობით ვირუსული ნაწილაკი, რომელიც ინფიცირებული ფუტკრის თავის ტვინშია კონცენტრირებული. ვირუსი იწვევს ფუტკრის ნერვული სისტემის დაზიანებას. კვლევებმა აჩვენა, რომ ვირუსი კონცენტრირდება ფუტკრის თავის ტვინის ორ ცენტრალურ ნაწილში: პირველი ცენტრი ემსახურება სენსორულ დამუშავებას, მეხსიერებას, სწავლას და მოძრაობებს; მეორე ცენტრი - რეპლიკაციას.

ვირუსს გადაცემის ორი მექანიზმი აქვს:

1. ფეკალიების მეშვეობით სკის ფსკერზე.
2. მჭიდრო ურთიერთობით ფუტკრის ოჯახში.

მუშა ფუტკრები უფრო მიღრეკილნი არიან დაავადებისკენ. დაავადება შეიძლება გავრცელდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი კონტაქტით ფუტკრებს შორის.

ვირუსის განახლების (რეპლიკაციის) ციკლი

უკრედეში შეღწევა

ქრონიკული დამბლის ვირუსით ფუტკრის ინფიცირება ფუტკრის პარაზიტის, ვაროას მიერ ხდება. ვაროას მეშვეობით CBPV ფუტკრის ორგანიზმში ხვდება.



რეპლიკაცია

ვირუსი შეაღწევს ფუტკრის ორგანიზმში და რეპლიცირდება თავის ტვინში. ფრენის უნარის დაკარგვა ინფიცირებულ ფუტკრებში დაკავშირებულია თავის ტვინის იმ ნაწილის დაზიანებასთან, რომელიც ფრენაზე პასუხისმგებელი.

სიმპტომები ვლინდება ინფიცირებიდან 5 დღის შემდეგ, ხოლო დაავადება სამი განსხვავებული მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. I ტიპის ინფექცია უფრო გავრცელებულია, ვიდრე დანარჩენი ორი.

I ტიპის ინფექცია

- შებერილი მუცლები, ნექტრის ტომრაკის შევსების გამო;
- სუსტი და მოცახცახე ფრთები;
- მიწაზე ბობლიალი და სკასთან ახლოს პატარა გუნდად შეკვრა, რადგან დასუსტებული ფრთებით ფრენა არ შეუძლიათ;

II ტიპის ინფექცია

- სრული უბალნო ფუტკარი, რის გამოც ხლებიან შავები და გამხდრები;
- ამ ფუტკრებს კიდევ შეუძლიათ ფრენა 2-3 დღე სიმპტომების გამოვლინების შემდეგ;


III ტიპის ინფექცია უსიმპტომოა, ამიტომ სწორედ ის ვრცელდება ყველაზე ფართოდ. დაავადებული ფუტკარი არ ავლენს არანაირ კლასიკურ დამახასიათებელ სიმპტომებს სიკვდილამდე და ავრცელებს ვირუსს სხვა ოჯახებშიც.

მკურნალობა

დღეისთვის არაა ცნობილი ამ დაავადების მკურნალობის გზები. ხშირად CBPV ვირუსი თავისით ქრება, მაგრამ თუ შევამჩნიეთ ინფიცირებული ფუტკარი, მაშინვე უნდა მოვიცილოთ, რომ შევამციროთ ვირუსის გავრცელების რისკები. ვირუსის გამო დასუსტებულ ოჯახებს თუ დავამატებთ ძლიერი ოჯახებიდან გამომსვლელ ბარტყს, შევაფურხებთ გადარჩენისთვის მებრძოლი ოჯახის კოლაფსს: დაუდგენელი მიზეზების გამო, დაავადება უფრო ვრცელდება ზამთრის სეზონში და არა თბილი თვეების პერიოდში.

პირადი პრაქტიკული დაკვირვებით, CBPV ვირუსის პროფილაქტიკისთვის საკმაოდ ეფექტურია ფუტკრის ოჯახში ვაროას რაოდენობის შემცირებაზე გათვლილი ღონისძიებებიც.

თქვენი შედგენილია აქვეანთი ჰაკავას მიერ



საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION



საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება.
+995 599 99 87 98 / geobeekeepers@gmail.com
WWW.GEOBEEKEEPERS.GE